

ვეფიკ-ფაშა (Vefik Paşa) აჰმედ (1823–1891), თურქი მწერალი, მეცნიერი, სახელმწიფო მოღვაწე. განათლება მიიღო პარიზში. იყო ელჩი თეირანსა და პარიზში, იუსტიციისა და ვაკუფების მინისტრი. ორჯერ ეკავა დიდვეზირის (პრემიერის) პოსტი. თურქულად თარგმნა ფრანგ და სხვ. ევრ. კლასიკოსთა—შექსპირის, შილერის, ფენელონის, მოლიერის, ვოლტერის და სხვ. ნაწარმოებები. მოლიერის ზოგიერთი კომედია დაადგმევინა თურქ. თეატრების სცენაზე. „ლეჰჯე-ი ოსმანის“ სახელით ცნობილ მის ლექსიკონში (1876, 1888) დიდი ადგილი ეთმობა თურქ. ეროვნ. ლექსიკას. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თანამედროვე თურქ. სალიტ. ენის ძირეული რეფორმის საქმეში. საყურადღებოა აგრეთვე ბ. აბულლაზის „თურქების გენეალოგიური ხის“ ვ.-ფ.-სეული თარგმანი და კომენტარები, შრომები „ოსმალეთის ისტორია“ (1869), „თურქული ანდაზების კრებული“ და სხვ.

ლიტ.: Banarlı N. S., Resimli Türk edebiyatı tarihi, İst., 1949; Köprülü M. F., Ahmet Vefik Paşa, «Cumhuriyet», 1928, 13. III. ს. ჯიქია.